

ს უ რ ა თ ი

[სოფლის ცხოვრებიდამ]

ცხელა და ცხელა პაპანებაა.
ქოხის წინა ზის ყმაწვილი დედა,
პაწია ბიჭი, ჩხვილი ფუნთუშა
ხელს უცაცუნებს ძუმუებზედა...

“აქა მამილო” – სთქვა კიდევ დედამ. –
დედა იმახის შვილის მაგივრად:
მაგრამ “მამილო ჯერ არსადა სჩანს,
ის სამუშაოდ წასულა მინდვრად...

“აქა მამილო” – სთქვა კიდევ დედამ. –
თან მოიტანე ბევრი კაკები...
გულში კი ჰფიქრობს: – “სად, რას
მუშაობ,
პაპანებაში რას იკაკვებინ...

მზემ გადიხარა, დაჰბერა სიომ,
აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი,
ხვითქი გადასდის გულ-გაღელილსა
და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი.

თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი,
მოდის, ღიღინებს დაბალს ხმაზედა,
მოდის ამაყად, მჭრელი ნამგალი
გადაუდვია მოღლილს მკლავზედა...

წინ მიეგება ყმაწვილი ცოლი
და მიაწოდა გიგლა მამასა,
იმანაც შვილი ოფლიანს გულში
მაგრად ჩაიკრა და ჰკოცნის მასა!

გიგლამ უტაცა მამას ულვაში,
ლოყაზედ თათი მოუცაცუნა:
მამას იამა შვილის ცელქობა,
ულვაშის წიწვნა არ დაუწუნა...
დაჯდა მაშვრალი დერეფანშია,
გვერდით მოიდო მჭრელი ნამგალი,
ამაყობს როლით, ამაყობს შვილით,

ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი...

ცოლმა მორთო მჭადი და წყალი,
გიგლა ჩააკრა "კაკანაშია"
გვერდით მოუჯდა ქმარსა და შვილსა,
მათის ყურებით განცხრომაშია!..

1882

წ.